

# ხარისხის მართვის ახალი სტანდარტებისთვის მზადება: ხმსს 1 -ხარისხის ამოცანები და ხარისხთან დაკავშირებული რისკები

კორსტენ ს. ალბო, FCPA, FCA, ICD.D | 16 ნოემბერი, 2021

ახლა საჯარო პრაქტიკის მქონე პროფესიონალი ბუღალტრებისთვის კრიტიკული დროა. ბევრი სტანდარტი განვითარების პროცესშია, მაგრამ აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს<sup>1</sup> მიერ ხარისხის მართვის ახლახან დამტკიცებული და გადამუშავებული სტანდარტების ნაკრებზე მნიშვნელოვანი აღბათ არცერთი არაა.

აღნიშნული სტანდარტები აძლიერებს ფირმების საერთო გამოცდილებას და მათ მიერ განხორციელებულ გარიგებებს, ხარისხის მართვის მიმართ მტკიცე, პროაქტიური და რისკზე დამყარებული მასშტაბირებადი მიდგომის ხელშეწყობით.

რატომ უნდა გაინტერესებდეთ ახალი სტანდარტები? იმიტომ რომ მათ გავლენა ექნებათ ყველა ფირმაზე მათი სიდიდის მიუხედავად - რამდენადაც სტანდარტები ხაზს უსვამს ლიდერობას და ხარისხის მართვის სისტემის შექმნას და არა მარტო გარიგების ხარისხის კონტროლს. აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო ყურადღებას ამახვილებს აუდიტის განვითარებად და სულ უფრო მეტად კომპლექსურ ეკოსისტემაზე დაინტერესებული მხარეების მზარდი მოლოდინების ჩათვლით.

მათი დანერგვისთვის მზადება პრიორიტეტი უნდა იყოს მცირე და საშუალო პრაქტიკოსებისთვის (SMPs), რამდენადაც ხარისხის მართვის სისტემები ხმსს -ის შესაბამისად მომზადებულ და დანერგილ უნდა იქნეს 2022 წლის 15 დეკემბრისთვის და ამ ხმსს -ის შესაბამისად ხარისხის მართვის სისტემის შეფასება საჭიროა განხორციელდეს 2022 წლის 15 დეკემბრიდან ერთი წლის ვადაში.

ხარისხის მართვის პირველი საერთაშორისო სტანდარტი (ხმსს 1) განსაზღვრავს რისკის შეფასების პროცესის სამ ეტაპს. პირველი ეტაპი ადგენს ხარისხის ამოცანებს, რომლებსაც მოჰყვება ხარისხის რისკების იდენტიფიკაცია და შეფასება. ის იძლევა საფუძველს საპასუხო ღონისძიებების დასაგეგმად და დასანერგად ბოლო ეტაპზე. სერიის ამ პირველ სტატიაში მე ყურადღებას გავამახვილებ რისკის შეფასების პროცესის პირველ ორ ეტაპზე.

რისკის შეფასების პროცესის განხორციელებისას უნდა უზრუნველყოთ რომ ფირმაში დანიშნული გყავდეთ პირი, რომელსაც ექნება საბოლოო უფლებამოსილება ხარისხის

მართვის სისტემაზე ოპერაციული პასუხისმგებლობის მქონე პირთან ერთად. ამ პირებს უნდა ჰქონდეთ სათანადო გამოცდილება, ცოდნა და გავლენა აღნიშნული როლების შესასრულებლად. მცირე ფირმაში ამ როლებს შეიძლება ერთი ადამიანი ასრულებდეს, ხოლო შედარებით უფრო დიდ ფირმაში ისინი შეიძლება გაყოფილი იყოს.

## ხარისხთან დაკავშირებული ამოცანები

რისკის შეფასების პროცესის პირველი ეტაპია შესასრულებელი ხარისხის ამოცანების დადგენა. ეს არის სასურველი შედეგი ხარისხის მართვის თქვენს სისტემაში. ხარისხის მიმართულებით დასახული ამოცანები განსაზღვრულია ხარისხის მართვის პირველ საერთაშორისო სტანდარტში, ამგვარად პირველი ნაბიჯი შეიძლება არ იყოს ზედმეტად კომპლექსური.

ხარისხის ამოცანები მოიცავს სტანდარტის შემდეგ ექვს კომპონენტს.

1. მართვა და ხელმძღვანელობა. ეს კომპონენტი ფირმის გარემოს და მის ერთგულებას ხარისხის მიმართ ხელმძღვანელების კულტურის და მოქმედებების მეშვეობით განსაზღვრავს. ძლიერი კულტურა შეიძლება ნაჩვენები იყოს პროფესიული ქცევის, გუნდური მუშაობის, ღია ცნობიერების შენარჩუნების, სრულყოფის მცდელობის, უწყვეტი გაუმჯობესებისადმი ერთგულების და სოციალური პასუხისმგებლობის საშუალებით.
2. რელუვანტური ეთიკური მოთხოვნები. ეს გულისხმობს ეთიკის რელუვანტურ მოთხოვნებს, რომლებიც ჩვეულებრივ შედგება პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის დებულებებისგან (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და რომლებსაც ექვემდებარებიან ფირმა და მისი გარიგებები. პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსი განსაზღვრავს ეთიკის ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც ადგენს ფირმების და პრაქტიკოსების ქცევის სტანდარტს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების ჩათვლით.
3. ახალ კლიენტთან ურთიერთობის დამყარება და არსებულ კლიენტთან ურთიერთობის გაგრძელება. ეს ეხება ფირმის გადაწყვეტილებას ახალ კლიენტთან ურთიერთობის დამყარებას ან არსებულ კლიენტთან ურთიერთობის გაგრძელებას და ემყარება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა კლიენტის კომპლექსურობა და ორგანიზაციული სტრუქტურა. ფირმამ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მას შეუძლია გარიგების შესრულება. მაგალითად, ინდივიდუალური პრაქტიკოსისთვის, რომელიც ტიპურად მხოლოდ არაკომერციული სუბიექტების აუდიტს ახორციელებს, გამოწვევა იქნება ისეთ კლიენტთან ურთიერთობის დამყარება, რომელიც ანგარიშებას ფასს -ის შესაბამისად აწარმოებს.

4. გარიგების შესრულება. აღნიშნული ადგენს ხარისხიანი გარიგებების შესრულების საერთო მოთხოვნებს. მაგალითად, ყველა შემთხვევაში, გარიგების გუნდებს უნდა ესმოდეთ თავიანთი პასუხისმგებლობები და ასრულებდნენ მათ და ამ პროცესში იყენებდნენ სათანადო პროფესიულ განსჯას. ამოცანები ასევე უკავშირდება შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას და მიმოხილვას - საჭიროა ჩართულობის განსხვავებული დონე პერსონალის ახალ წევრთან გამოცდილი პერსონალისგან განსხვავებით.
5. რესურსები. რესურსები მოიცავს ადამიანურ რესურსებს, ტექნოლოგიურ და ინტელექტუალურ რესურსებთან ერთად. ადამიანური რესურსები წარმოდგენილია პერსონალით, რომელთანაც მუშაობთ, ტექნოლოგიური რესურსები არის სისტემები, რომლებსაც იყენებთ და ინტელექტუალური რესურსები არის თქვენს მიერ გამოყენებული ინსტრუმენტები, როგორიცაა მაგალითად მეთოდოლოგია გარიგებების განსახორციელებლად. ხარისხის ამოცანები დეტალურად აღწერს სამივეს გამოყენების სათანადოობას.
6. ინფორმაცია და კომუნიკაცია. იმის მიუხედავად ინფორმაციის კომუნიკაცია წარმოებს ფირმის შიგნით თუ გარე მხარეებთან, ის უნდა იყოს რელევანტური, სამედი და დროული. ფირმაში სადაც პერსონალის რაოდენობა მცირეა და ადგილი აქვს ხელმძღვანელობის უშუალო ჩართულობას შესაძლოა არ იდგეს ოფიციალური საკომუნიკაციო პოლიტიკის საჭიროება.

ხმსს 1-ით განსაზღვრული ხარისხის ამოცანები სავალდებულოა ყველა ფირმისთვის და გარიგებისთვის იმ შემთხვევების გარდა, როცა ისინი ცხადად არარელევანტურია. მაგალითად, თუ თქვენ ინდივიდუალური პრაქტიკოსი ხართ, თქვენ არ გჭირდებათ პერსონალის მართვასთან და ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ხარისხის ამოცანები. თუ თქვენ არ ხართ ფირმების ქსელის წევრი, არ გჭირდებათ ქსელის შიგნით ინფორმაციასთან და კომუნიკაციასთან დაკავშირებული ამოცანები.

ბოლო საკითხი, რომელზეც ამ ეტაპზე ხდება რეაგირება, ემყარება თქვენი ფირმის ბუნებას და გარემოებებს და იმას არის თუ არა მოთხოვნილი დამატებითი ხარისხის ამოცანები ხარისხის მართვის თქვენს სისტემაში. ნაკლებად კომპლექსურ ფირმაში ხარისხთან დაკავშირებული დამატებითი ამოცანები არ იქნება მოსალოდნელი.

## რისკის იდენტიფიკაცია და შეფასება

რისკის შეფასების პროცესის მეორე ეტაპია ხარისხის ამოცანების მიღწევის იდენტიფიკაცია და შეფასება, რაც არის თქვენს ფირმაში არსებული ხარისხის რისკების გარკვევა. ხარისხის რისკი განიმარტება როგორც რისკი, „რომელსაც აქვს დადგომის გონივრული შესაძლებლობა და ინდივიდუალურად, ან სხვა რისკებთან ერთად, უარყოფით გავლენას ახდენს ხარისხთან დაკავშირებული ერთი ან მეტი ამოცანის მიღწევაზე.“

ხარისხთან დაკავშირებული რისკის იდენტიფიკისას დაფიქრდით პირობებზე, მოვლენებზე, გარემოებებზე, ქმედებაზე ან უმოქმედობაზე რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს თქვენი ფირმის მხრიდან ხარისხის ამოცანების შესრულების უნარზე. ავიღოთ მაგალითად მართვასთან და ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ხარისხის ამოცანა. ფირმა აღიარებს და აძლიერებს ხარისხის მნიშვნელობას ფირმის სტრატეგიულ გადაწყვეტილებასა და ქმედებებში. თუმცა, ფირმას შეიძლება ასევე ჰქონდეს სტიმულები, რომლებიც ფოკუსირებულია ფინანსურ და ოპერაციულ პრიორიტეტებზე, რომლებიც შესაძლოა უარყოფით გავლენას ახდენდეს ხარისხისადმი ერთგულებაზე და შედეგად იძლეოდეს რისკს ხარისხთან დაკავშირებით.

პროცესის ამ ეტაპზე მუშაობისას დაფიქრდით თქვენი ფირმის კომპლექსურობის და ოპერაციული მახასიათებლების შესახებ. ფირმაში მხოლოდ ორი პარტნიორია წარმოდგენილი, რომლებიც ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებებს თუ ბევრი პარტნიორი, რომლებსაც მმართველი პარტნიორი ხელმძღვანელობს? კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც გასათვალისწინებელია არის ფირმის სტრატეგიული და ოპერაციული გადაწყვეტილებები. იმყოფება თუ არა ფირმა ზრდის რეჟიმში და აგრესიულად ემებს თუ არა კლიენტებს და პერსონალს ან ცდილობს თუ არა სტატუს-კვოს შენარჩუნებას? ამ კითხვაზე პასუხები დაგვეხმარება განვსაზღვროთ ხარისხის რისკის არსებობა.

გარკვეულ შემთხვევებში, თქვენი ფირმის ბუნებიდან გამომდინარე, ხარისხის რისკი შესაძლოა მნიშვნელოვანი არ იყოს. მაგალითად, ხარისხის ამოცანა ინფორმაციასთან და კომუნიკაციასთან დაკავშირებით რელევანტურია და საიმედო ინფორმაციის გაცვლა წარმოებს ფირმასა და გარიგების გუნდებს შორის. თუ თქვენ ამუშავებთ მცირე ფირმას, წევრების მხოლოდ მცირე რაოდენობით, დიდი ალბათობით ადგილი ექნება კომუნიკაციას და ამგვარად ასეთი ხშირი, თუმცა არაოფიციალური პროცესის გამო ხარისხის რისკი მოსალოდნელია რომ დაბალი იქნება.

ხარისხის რისკების განსაზღვრისას თქვენ უნდა ასევე გაითვალისწინოთ თქვენს მიერ განხორციელებული გარიგებების ტიპები, თქვენი კლიენტები და დაწესები, რომლებშიც ისინი ფუნქციონირებენ. ხარისხის რისკები შეიძლება წარმოიქმნას თქვენი კლიენტების ბუნებიდან გამომდინარე.

დაფიქრდით რისკის შეფასებაზე როგორც განმეორებით, და არა სწორხაზოვან პროცესზე. რისკის იდენტიფიკაციის და შეფასების დროს ფირმამ შეიძლება განსაზღვროს ხარისხის დამატებითი ამოცანის დადგენის საჭიროება; ან საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვისას და განხორციელებისას ფირმამ შეიძლება განსაზღვროს, რომ ხარისხის რისკი არ იყო იდენტიფიცირებული და შეფასებული და უნდა ყოფილიყო. ეს იქნება უწყვეტი პროცესი, განსაკუთრებით თუ თქვენ მუშაობთ სტანდარტის მოთხოვნების შესრულების საშუალებით.

## დასკვნა და მომდევნო ნაბიჯები

გარიგებებში ხარისხის კონცეფცია ახალი არ არის, მაგრამ მიდგომა და ძირითადი მოთხოვნები მომდევნო სტანდარტებში განსხვავებული და თანდათანობით მზარდია ბევრ შემთხვევაში. ახლა დაწყების დროა. გაეცანით ახალ სტანდარტებს. შემდეგ განსაზღვრეთ ლიდერი თქვენს ფირმაში, ვისაც საერთო პასუხისმგებლობა ეკისრება ხარისხის ახალ სტანდარტებზე.

სტანდარტი ფოკუსირებულია მასშტაბირებაზე რისკის შეფასების პროცესში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო პრაქტიკოსებისთვის. ფირმის ბუნება და გარემოებები, გარიგებები რომლებსაც ის ასრულებს და შედეგად მიღებული ხარისხის ამოცანები და რისკები უნიკალური იქნება თითოეულ გარემოებაში.

მაგალითად, ერთი დოკუმენტი შესაძლოა ადეკვატური იყოს ამოცანების, ხარისხის რისკების და საპასუხო ღონისმიერების დოკუმენტური ასახვის თვალსაზრისით მსხვილ ფირმასთან შედარებით რომელსაც ბევრი პარტნიორი ჰყავს. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, გაცილებით ფორმალური და კომპლექსური სახელმძღვანელო შეიძლება იყოს საჭირო.

რამდენიმე მიდგომა არსებობს ხარისხის ამოცანების დადგენის და რისკების შეფასების მიმართ. ერთი მარტივი იდეა მდგომარეობს კვლევის ელექტრონული ცხრილის გამოყენებაში. ჩამოთვალეთ ხარისხის ამოცანები, რომლებიც მითითებულია სტანდარტში, აღწერეთ თქვენი ფირმის ბუნებასთან და გარემოებებთან დაკავშირებული ფაქტორები, განსაზღვრეთ ნებისმიერი რისკები და შეაფასეთ არის თუ არა საბოლოო კავშირი ხარისხის რისკთან. ხარისხის ნებისმიერი იდენტიფიცირებული რისკი წარმოადგენს საფუძველს რისკების საპასუხო ღონისმიერების დასაგეგმად და განსახორციელებლად. ეს თემა გათვალისწინებული იქნება მომდევნო სტატიაში, ასე რომ თვალყური ადევნეთ მომდევნო გამოცემებს. ამ სერიის დასკვნით სტატიაში დეტალურად იქნება მოცემული ხარისხის მართვის სისტემის შეფასება.

## დამატებითი რესურსები

- IAASB [ხმსს 1 პირველად განხორციელების სახელმძღვანელო](#)
- IAASB [ხმსს 2: პირველად განხორციელების სახელმძღვანელო](#)
- ხარისხის მართვასთან დაკავშირებით IFAC -ის მიერ გამოყოფილი [ვებგვერდი](#)